ეშმაკის მათრახი

ფასი 50 მ.

№ 48

1920 წ. ნოემბრის 7

„სახალხო გვარდიის მეორე ყრილობამ საპატიო წევრათ აირჩია ჩვენი საყვარელი სტუმარი და ინტერნაციონალური სოც.-დემოკრატიის მხცოვანი ბელადი კ. კაუცკი“.

(გაზეთებიდან).

კ. კაუცკი ძველი გვარდიელის საჭურველში, დაახლოვებით ისე, როგორც ჯდებოდა იარაღში გვარდიის სახელოვანი ბელადი ვ. ჯუღელი.

შეთქმულება

სულ რაღაც ოცდოდე დღის წინათ ჩვენს დედა ქალაქში ერთი საოცარი ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი თბილისი ფეხზე დააყენა და დიდი აურ-ზაური გამოიწვია საზოგადოების ყველა სფეროში.

ეს ამბავი ასე დაიწყო:

ფოსტის საქალაქთაშორისო ტელეფონის განყოფილებაში ოცდაათამდე კაცს მოეყარა თავი და რიგს უცდიდენ ტელეფონზე სალაპარაკოთ მისასვლელათ.

თითოეული მათგანი თავის საქმეზე ჰფიქრობდა და სხვებს არავინ აქცევდა ყურადღებას, თითქოს ეს სხვები არც კი ყოფილიყვნენ იქვე, მათთან ერთად. ყველანი ჩუმათ იდგენ.

უცებ ყველამ ყურები ცქვიტა. როგორც ერთმა კაცმა, ისე მიიხედეს იმ მხარეზე, საითაც თფილის-ქუთაისის სატელეფონე კარავი იდგა და უნებურათ გაიწიენ იქით.

— გეყურება?—მოისმოდა იქიდან ვიღაცას მაღალი ხმა: ორშაბათს გამოვალთ!.. ჰო, ორშაბათს, უთუოდ! არავის დავინდობთ, იცოდე! ყველას მუსრს გავავლებთ!.. ნამდვილი წარღვნა იქნება!.. გადაეცი ჩვენებს, რომ ყველანი მზათ იყვენ, დაგვეხმარონ! უკან დახევა გვიან-ღაა: ყველა ხიდები აფეთქებულია!.. ისეთი თავზარი იქნება, რომ თბილისს ჯერ არ უნახავს!..

ამ სენსაციურმა სიტყვებმა ერთის დაკვრით დარღვია იქ მყოფთა მყუდრო მშვიდობიანობა. რამდენიმე კაცი მოსხლეტით დაიძრა ადგილიდან და კარში გავარდა უკან-მოუხედავათ, ხოლო ვინც იქვე დარჩა, სახეზე ყველას შიში და ცნობისმოყვარეობა ეტყობოდა და ფრთხილად იცქირებოდენ იმ კარვისკენ, საიდანაც ეს საოცარი ლაპარაკი გაიგონეს.

კარი გაიღო და ტელეფონის კარავიდან გამოვიდა ახალგაზრდა შავგვრემანი კაცი ყოყოჩა გამომეტყველებისა, ამაყად ახედ-დახედა შეშინებულ ხალხს და წავიდა.

ეს ამბავი შაბათ ღღეს მოხდა.

იმავ საღამოს მთელ ქალაქს მოედო საშიშარ ხმები. ორშაბათის გათენებას ისე მოელოდენ ყველანი, როგორც მეორედ მოსვლას და საშინელ სამსჯავროს. მილიცია ფეხზე დადგა. ყველა უბნები გამაგრებული იყო და ქუჩებში გაძლიერებული სადარაჯო რაზმები დადიოდა.

საგანგებო რაზმის მოხელეებმა მიაგნეს იმ უცნობი ახალგაზრდას კვალს, რომელიც ტელეფონით ქუთაისს ელაპარაკებოდა და მზვერავი მიუჩინეს.

კვირა საღამოს უცნობი ახალგაზრდა „დარბაზის“ სასადილოში ნახეს. სუფრას უჯდა და მასთან ოთხი სუფთად პირმოპარსული კაცი ისხდა: ერთი—ყველაზე მაღალი, სათვალიანი, მეორე—პირქუში, მედიდურის და თან ასკეტური სახისა, ძველ რომაელს თუ არა, რომის რომელღაც პაპს მაინც მოგაგონებდა, მესამე—ჭროღა თვალებიანი და ბეჭებში მოხრილი, ხოლო მეოთხე—პატარა ტანისა იყო, ღია თამბაქოს-ფერი მაზარა ეცვა და სახით შილლერსა ჰგავდა.

გარეგნობაზე ეტყობოდა, არც ერთი მათგანი ქართველი არ იყო, ხოლო სახელებმა აშკარათ გამოარკვია (ხშირათ ეძახოდენ სახელს ერთმანერთს), რომ ტელეფონზე რომ ლაპარაკობდა, ის შავგრემანი ყმაწვილი და მეორე—ჭროღა თვალებიანი იტალიელები იყვენ, მესამე კი—სათვალიანი—თურქი. რა ტომის იყვნენ დანარჩენი ორი—„რომის პაპი“ და შილლერი“—ძნელი გამოსაცნობი გახდა.

ქართული ყველას შეესწავლა და ოთხი მათგანი, ასე გაშინჯეთ, იმერულ კილოკავსაც კი იცავდა ლაპარაკში, მხოლოდ „რომის პაპი“ მოიკოჭლებდა ქართულში, ხშირათ ქართული ენისთვის უჩვეველ, გაუგებარს და უცნაურ სიტყვებსა და ფორმებს ხმარობდა და ამით უნებურათ ამჟღავნებდა თავის არა-ქართველობას.

დამსწრეთა თვალის ასახვევათ გაცხარებული დავა გაეჩაღებიათ და განგებ, იქ მყოფთა გასაბიაბრუებლად, საკამათო საგნათ ვითომ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები აეღოთ.

ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ ხელოვნებასთან მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ და ტყუილად იწუხებდენ თავს, რადგან მთელი კამათი და გაცხარებული მტკიცება იმაში მდგომარეობდა, რომ ყველანი ერთმანერთს არწმუნებდენ,—არა, შენ ხარ გენიოსი ხელოვანი—არა, შენო.

9 საათი რომ შესრულდა, შავგრემანი იტალიელი „დარბაზიდან“ გაეიდა და თავისუფლების მოიდანისკენ გაემართა.

მზვერავი თან გაჰყვა.

გზაში იტალიელი ვიღაც ორ ქალს დაეწია, ხელი ჩამოართვა და ლაპარაკი დაუწყო. ლაპარაკის დროს, ცოტა არ იყოს თავისუფლად ეჭცეოდა მათ და, ისე, ვითომ სხვათა შორის, ხან სად წაავლებდა ხელს და ხან სად.

თავისუფლების მოედნამდე აღარ მისულან და სამთავემ ქართულ კლუბისაკენ შეუხვია.

ამის შემდეგ საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ყველა ეს ცნობა მზვერავმა იმ ღამესვე დაწვრილებით მოახსენა თავის უფროსს.

ამ მოხსენებიდან აშკარად სჩანდა, რომ სათვალიანი თურქი ქემელფაშას ემისარი იყო, ხოლო იტალიელების კავშირი ქემალისტთან ცხადათ ამართლებდა იმ საფუძვლიან ხმებს, ამ ბოლოსდროს რომ გავრცელდა ჩვენში: იტალია ფარუ-

ლად ქემალფაშას ეხმარება საბერძნეთის შესასუსტებლადო.

ეჭვი არ იყო, რომ ქემალისტები იტალიელებისა და ადგილობრივი კომუნისტების დახმარებით აჯანყების მოწყობას აპირობდენ ჩვენში. ამისდაგვარათ შავგრემანი იტალიელის ლაპარაკი ქუთაისთან ეხლა სულ ადვილი ასახსნელი გახდა.

გათენდა ორშაბათი.

ქალაქის ქუჩებში ხალხის ჰაჰანიც არ იყო: ყველანი სახლებში იმალებოდენ დამფრთხალნი და თავზარდაცემულნი.

მილიცია და ჯარი ფეხზე იდგა და თფილისი ნამდვილ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა: ყველა ქუჩები შეკრული იყო, აქა-იქ კარგა ძლიერი რაზმები იყო ჩასაფრებული, ზოგ ადგილას ტყვიის მფრქვეველებიც კი გამოეტანათ და მოემზადებიათ.

დრო გადიოდა.

ყველას მოლოდინის მღელვარება ეტყობოდა და ნერვები დაჭიმული ჰქონდა.

ასე გაგრძელდა დილის 11 საათამდე.

მეთორმეტე საათი რომ დაიწყო, უცებ კალოუბნის ქუჩით რუსთველის პროსპექტზე გამოვიდა ორი შეთქმული იტალიელი—შავგრემანი და ჭროღა თვალებიანი. იღლიაში რაღაც დაბეჭდილი ფურცლების შეკვრა მოჰქონდა ორთავეს. შორი ახლოს მზვერავი მოსდევდა.

სამხედრო სობოროს რომ გაუსწორდენ, მზვერავმა რაღაც ანიშნა იქვე მდგომ მილიციონერებს, რომელიც თვალის დახამხამებაში ალყა შემოარტყეს იტალიელებს და საგანგებო რაზმის ბინაზე წაიყვანეს.

— ჩვენ ყველაფერი დაწვრილებით ვიცით! — ეუბნებოდა რაზმის უფროსი დაპატიმრებულ იტალიელებს: უარის თქმა აღარ გიშველით: უმჯობესია გამოტყდეთ! სულ ერთია, თქვენი გეგმა და განზრახვა ჩაფუშულია... როგორც ჰხედავთ, ვერავითარი „წარღვნა“ ვერ მოახდინეთ და „მუსრიც“ ვერავის გაავლეთ. გულახდილათ სთქვით: სად ააფეთქეთ ხიდები? სად არის ამჟამად თქვენი სულის ჩამდგმელი ქემილისტი—თათარი! სად არის ის ორი კაცი, წუხელის რომ თქვენთან იყვნენ „დარბაზში“, „რომის პაპი“ და „შილლერი“? მიპასუხეთ.

იტალიელები გაშტერებით მისჩერებოდენ რაზმის უფროსს, თითქოს არაფერი ესმითო და თვალებს ახამხამებდენ.

— თავს ნუ იკატუნებთ! — განაგრძობდა უფროსი: ჩვენ ისიც კარგათ ვიცით, რომ თქვენ იტალიელები ხართ. ვეღარ წაგვიხვალთ ხელიდან! Lasciate ogni spcranza, როგორც თქვენი დანტე ამბობდა! გამოტყდით! მოიტათ ეგ მოწოდებები, იღლიაში რომ გაგიჩრიათ.

იტალიელებმა გადასცეს ფურცლები.

— ბატონო უფროსო — ენა-ბორძიკით დაიწყო შავგრემანმა იტალიელმა: აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს... ჩვენ საამისო არაფერი ჩაგვიდენია. ჩვენ იტალიელები არ გახლავართ: ქართველები ვართ.

— ლათაიებს თავი დაანებეთ! ვიცით რა ქართველებიცა ხართ! რომელ ქართველს რქმევია სახელათ პაოლო, ან კიდევ ტიციანი?

— ქართველები ავართ, ღმერთს გეფიცებით! — არწმუნებდა იგივე იტალიელეაი: ჩემი გვარი იაშვილია, ჯიბო იაშვილის შვილი გახლავარ... ეს კი ტაბიძეა, მღვდლის შვილი!

— ვთქვათ, თქვენ მართალს ამბობთ... ის ალიფაშაც ქართველი იქნება, რა თქმა უნდა, თქვენთან რომ იყო წუხელის? — გესლიანათ შენიშნა რაზმის უფროსმა.

— დიახ, ისიც ქართველი გახლავთ არსენიშვილი!

— ჰო, რასაკვირველია! ის „რომის პაპიც“ ქართველია ალბათ, რაღაც უცნაურ სიტყვებს რომ ისროდა წუხელის „დარბაზში“

— ჩვენთან „დარბაზში“ უცხო არავინ ყოფილა: გრიგოლ რობაქიძე გახლდათ და კიდევ... ვინ იყო, ბოშო, კიდევ ჩვენთან წუხელის? — მიმართა შაგვრემანმა ჭროღა თვალებიანს...

— ჰო, ვინ იყო ის მეხუთე, „შილლერს“ რო ჰგავს? — ჩაერია რაზმის უფროსი.

— მიწიშვილი იყო — მოაგონდათ იტალიელებს ღმერთს გეფიცებით, ჩვენ ყველა ქართველები ვართ: ცნობილი პოეტები .. „ყანწელები“, თუ გაგიგონიათ... წაიკითხეთ ეს ჩვენი გაზეთი და დარწმუნდებით.

რაზმის უფროსმა გაშალა ერთი ფურცელთაგანი და თვალი გადაავლო.

— „ბარიკადი“ — ეწერა ფურცელს სათაურათ: „ცისფერი ყანწების კვირეული გაზეთი“.

რაზმის უფროსი ცოტა ხანს ხმა ამოუღებლივ იდგა: ხან ფურცელს შეჰხედავდა, ხან კიდევ პატიმრებს.

უცებ შეუკავებელი ხარხარი წასკდა, „ბარიკადები“ ხელიდან დაუვარდა, გვერდებზე წაივლო ხელი და იქვე სკამზე ჩაიკეცა აუტანელი სიცილისაგან.

— გაანთავისუფლეთ! ხა—ხა—ხა—ხა! გაანთავისუფლეთ ეხლავე! — ძლივს აბრუნებდა ენას ხარხარისაგან სულ-შეხუთული უფროსი: გაანთავისუფლეთ და ხელი არ ახლოთ ამიერიდან. ხა-ხა-ხა-ხა-ხა! თვალ-ყური კი ადევნეთ ბიჭებო იცოდეთ! ხა-ხა-ხა-ხა! ხელი არ ახლოთ სანამ ქუჩაში... ქვის სროლას არ დაიწყებენ!..

პაოლო და ტიციანი იმ წამშივე გაანთავისუფლეს.

ტუზი.

სიზმარი

გვარდიელი კულა ზვერელი შმაგივით წამოიჭრა საწოლიდან და ნამძინარევი თვალების ფშვნეტა დაიწყო.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

აღშფოთებითა და მრისხანებით წარმოსთქვა მან.

— რა ამბავია ადამიანო, გულები დაგვიხეთქე! მიწა ხომ არ იძრა?

ნაწყენი კილოთი მიმართა მეუღლემ შეწუხებულ ქმარს.

— რის მიწა! რა მიწა! ღმერთო ჩემო, ეს რასა ჰკადა... არასოდეს ასეთი არ მინახავს...

— არ იტყვი, რა დაგემართა?—უკვე მრისხანე ხმით შეუტია მეუღლემ—გათენებამდე კიდევ ორი საათი დარჩა და შენ მთელი ოჯახი ზეზე წამოგვყარე.

— ღმერთო ჩემო! ეს ყოვლად შეუძლებელია... ეს რომ მართალი იყოს, არ ვიცი რა გვეშველებოდა.

კულა კარგა ხანს იჯდა ტახტზე მუხლებ შორის ხელებ ჩაწყობილი და რაღაცაზე მძიმეთ ფიქრობდა. არც მეუღლის მუდარა, არც ბავშვების წუწუნი მას თითქო არ ესმოდა. ეტყობოდა რაღაც საშიშარი აზრი ჰქონჯნიდა მის გონებას.

მეუღლე მისი მარიამი ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდა ქმრის გამოფხიზლებას, მაგრამ კულა დაჟინებით ერთსა და იმავეს იმეორებდა.

— თუ ეს გამართლდა!.. ოჰ ღმერთო ჩემო! ასე გრძელი მას არასოდეს არა ჰქონია. ეს რაღაც ცუდი ნიშანი უნდა იყოს... ოჰ ღმერთო ჩემო!

— ადამიანო, სთქვი, რა ჯანდაბა ნახე... ლამის გული შეგვიწუხდეს... რა მოხდა ასეთი, რა ამბავია ჩვენს თავს?

კულა წამოდგა; ნელის ნაბიჯით გაემართა კამოდისაკენ: უჯრა გამოსწია და პატარა ჯიბის რევოლვერი ამოიღო.

შეშინებული ბავშვები სულ განაბული მიიმალენ ლოგინის კუთხეში: ერთხელ გვარდიელ კულას უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი და უალაგო ალაგას მცირეოდენ გაიკაწრა. მას შემდეგ კულას ბავშვებს დამშვიდებით არ შეუძლიათ რევოლვერის დანახვა. ახლაც საშიშარმა აზრმა გაუელვა მათ თავში და მიტომაც გაიტრუნენ თევზებივით.

— კაცო, იწამე ღმერთი, გვითხარი რა გინდა, რას აპირობ. ვინ ღვთის პირისაგან გადავარდნილმა გაწყენია რამე? რავქნა, რა წყალში ჩავარდე!

— რა გითხრა დედაკაცო, რა შენი ჭკუის საქმეა. ოჰ ღმერთო ჩემო, თითქმის მკერდამდე ეფინა!..

— ვითომ რა დაგიშავდება რომ სთქვა... მეც ადამიანი ვარ... იქნება რამე გირჩიო...

— დადი მებრძოლი კი მყევხარ, რომ გითხრა და გულს მოეშვას. ოჰ ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. ნამდვილ საბა ბერს ჰგვანდა! ეს რომ გამართლდეს, ეს რომ...

— შენისთანა მებრძოლიც გვინახავს, გაცხარებით უპასუხა ქმარს შეურაცხყოფილმა ცოლმა.—გვარდიელი გქვია, თორემ ფრონტი თვალითაც არ გინახავს. რევოლვერი ერთხელ გაისროლე და ისიც შენი თავი დაიმარცხე. რას იკვეხი, რა გიქნია ასეთი.

კულა აენთო. ჩვეულებრივმა ორატორმა გაიღვიძა მასში. ის წამოდგა, მეუღლეს მედიდური თვალით გადაჰხედა, სარკასტიულათ ჩაიცინა და უთხრა:

— დედა-კაცის ჭკუისაგან ესეც დიდია, რაც შენ სთქვი. შენის აზრით მებრძოლი მხოლოდ ფრონტზე უნდა იბრძოდეს. მებრძოლი მარტო იმას ჰქვია, ვინც იარაღით ხელში ხალხსა ჟლეტს, თუნდაც ეს ხალხი მტერი იყოს?! შენ მებრძოლათ არ სთვლი იმას, ვინც მუდამ დღე კრებებზე აზრით, სიტყვით, მჭერმეტყველობით იბრძვის. მებრძოლი არ ყოფილა ის, ვინც გუშინ კრებაზე ორ საათ-ნახევარი ილაპარაკა... მაშ...

— ილაპარაკე თორემ გიჯერის ვინმე. ლაპარაკობ, ლაპარაკობ, ლაპარაკობ და შენს ლაპარაკს არავინ ყურს არ უგდებს. როცა შენ წამოდგები, ყველას შიშის ჟრუანტელი დაუვლის ხოლმე... აი...

— დიახაც, დიახაც რომ დაუვლის, იციან, არავის შეევარჩენ, იციან...

— უკაცრავათ! იციან, დიახ იციან, მაგრამ ის კი არა, რომ არავის შეარჩენ; იციან ის, რომ დაიწყებ და არ გაათავებ ლაპარაკს. მთელ ქვეყანას შენი ლაპარაკით თავი აქვს მოძულებული და მობეზრებული.

— ჩუ, დედაკაცო! რაებს მიბედავ, ვინ გგონივარ...

— გვარდიელი ხარ, სხვა ხომ არაფერი. ნეტავ ერთი ღვთის გულისითვის სახელს მაინც არ აფუჭებდე გვარდელისას...

— დედა, მეშინია! დედა! დაიძახა პატარა თედომ და ცოლ-ქმარს ლაპარაკი შეაწყვეტია.

— კარგი შვილო, კარგი, ნუ გეშინია. აი კიდევაც გათენდა. დაამშვიდა დედამ ბავშვი და ფანჯრის დარაბები გააღო. შორიდან სახელოსნოების საყვირის ხმა მოისმა. ქუჩებში ხმაურობამ იმატა.

— აი ვანუაც მოდის! ჩაილაპარაკა კულამ და საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა.

— გამარჯობათ, ხალხნო! მიესალმა კულას ოჯახობას გვარდიელი ვანუა.—აბა მზათა ხარ? წავიდეთ.

— რაღა მზათ, ჩემო ვანო, სწორეთ შუაღა-

მეზე გაგვაღვიძა ამ ვაჟბატონმა და მას შემდეგ გვტანჯავს მთელს ოჯახს—უპასუხა დიასახლისმა.

— რა დაგემართა, ბიჭო, შეურეკე?

— გეტყვის თუ? განა ცოტა ვეხვეწე!

— ვისაც საჭიროა კიდევაც ვეტყვი!—წარმოსთქვა მედიდურათ კულამ.

— მაინც რა იყო ასეთი? კვლავ ჩაეკითხა ვანუა.

— სიზმარი ვნახე, ამხანაგო, საშიშარი სიზმარი!

საერთო გულიანი სიცილი გაისმა გვარდიელი კულას საპასუხოთ. თითქმის ბავშვებიც კი აიყოლია ამ სიცილმა.

— ყოჩაღ, ბიჭო! გვარდიელიც სწორეთ ასეთი უნდა, სიზმარმა უნდა დაფრთხოს და წამოაგდოს შუაღამეზე.

— სიზმარიც არის და სიზმარიც!

— ჰაი, ჰაი, რომ სიზმარს გაეჩინა!

— კაცო იმოდენა წვერით ის ჩემს დღეში არ მინახავს. მოდი და ნუ შეგეშინება.

— ვინ ნახე, კაცო?

— ვინ და ვალიკო.

— ვალიკო?

— ჰოდე! სწორეთ ვალიკო. საბა ბერს ჰგავდა. თეთრი წვერი მკერდამდე ეფინა. ავტომობილში იჯდა, სადღაც მიაქროლებდა და ქარი წვერებს დროშასავით უფრიალებდა.

— ბიჭოს.

— მერე რა ვუყოთ!—შენიშნა დიასახლისმა: იქნებ მოპარსვა დააგვიანდა და გაეზარდა. წვერმა უნდა შეაშინოს ვაჟკაცი?

— არა, ჩემო დაო. ვალიკო წვერს უმიზეზოთ არ მოუშვებს. შენიშნა ვანუამ.

— დიახაც!

— ჩვენ, გვარდიელებმა, კარგათ ვიცით მისი წვერის ამბავი.

— ვიცით და სწორეთ ამან შემაშინა! წარმოსთქვა კულამ.—მოდი ახლა და აუხსენი ყველას, რაშია საქმე. ჩემის აზრით ეს საიდუმლოთ უნდა შევინახოთ.

— თქვენ სწორეთ გადამრევთ! სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა მარიამმა.

— იცი, ჩემო დაო, დაიწყო ვანუამ: ეს ძლიერ ცუდი სიზმარია. ვალიკო წვერებს ისე არ მოუშვებს თუ ფრონტი არ გაუჩნდა. გვარდიელებმა უკვე იციან როგორ არის ფრონტზე საქმე, როცა ვალიკოს შეხედავენ: თუ წვერ მოპარსულია, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე კარგათ ყოფილა.

— მაინც რამოდენა წვერი ჰქონდა ბიჭო?

— აკი გითხარი, ნამდვილ საბა ბერი მომაგონა.

— ოჰოოო! ეს, ძმავ, რაღაცას ნიშნავს. რატომ არ ჰკითხე რისთვის მოუშვა?

— ვერ მოვასწარი ალბათ.

— ავტომობილში იჯდა?

— ჰოდე.

— მარტო?

— აღარ მახსოვს კარგათ...

— შე ოხერო, წვერი დაინახე და კაცი ვეღარა?..

— წვერმა მიიქცია ჩემი ყურადღება.

— ამ წინაზე ფრონტი არსად არა ყოფილა მაგრამ კარგა მოზრდილი წვერი მოეშვა იმ თქვენს ვალიკოს.—შენიშნა დიასახლისმა.

— ფრონტი არ იყო დაო, მაგრამ სიეზდი იყო გვარდიისა; ესეც ერთნაირი ფრონტია.

— გრძელი წვერი, ეს რაღაცას ნიშნავს.

— დღეს ეს ამბავი ჩვენი რაიონის შტაბის კრებაზე უნდა დავსვა.

— ეს მართლა საჭიროა. სიზმარის არაფერი მჯერა, მაგრამ ეს ვალიკოს წვერები რაღაც არ მომწონს.

გვარდიელების ლაპარაკმა ქ-ნი მარიამიც ძლიერ ჩააფიქრა. ის ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, თუ ვალიკო ჯუღელის წვერებს მის ცხოვრებაში ამდენი მნიშვნელობა ექნებოდა.

ეშმაკი.



ჩვენს პროფესორებს

(სემესტრის დაწყების გამო)

პირველათ მივუალერსოთ
გრიგოლს—ქირურგათ ქებულსა,—
ვაჟს თავის საქმის მოყვარულს
და ფრიად თავ-დადებულს,
მისგან ვერ ნახავთ ავათმყოფს
უდროოთ მოკლულს, ვნებულსა...
ნეტავ ასეთი დასჩემდეს
ზნე მის მოწაფეთ კრებულსა.

—

ამბობენ—ალადაშვილი
ერთობ ფხიზელი კაცია; —
ვერ ეპარება მის სმენას
ფილტვების კრეპიტაცია,
შუილის აღმოჩენაშიც
ზედმიწევნით მამაცია...
იმისმა მოწაფეებმა
განკურნონ ჩვენი ნაცია.

—

რა რომ ეწვია სვიმონი
ამ ჩვენ კურთხეულ მხარესო,
დიპლოკოკები იმ წამსვე
შეშფოთდენ, შეიყარნესო,
სთქვეს: „აჰა, ბნელი ეხურვის
ჩვენ წილ მზეს, ჩვენ წილ მთვარესო!“
ყოფნას სიკვდილი არჩიეს,
საფლავი გაითხარესო.

—

დამფუძნებელი კრება.

დეპუტატი ივანა ხოჭოლავა.



დეპ. ჰაიდარ აბაშიძე.

კახიანი... მაგრამ ვარდი
ვით შეამკოს ყვავმა აბა!
თვალთა მისთა ელვარებამ
ეშხის ბადე მსწრაფლ გააბა
და... გაება ამ ბადეში
ყველა, ვისაც ეცვა კაბა.

—

ბეჯითობაში ივანეს
ვერავინ შეედრებაო.—
გათენებისას იძინებს,
დილას ადრიან დგებაო...
მისი მნახველი პიპლარი
მენჯში ველარა დგებაო...

—

ვარლამს ვიღაცამ რაღაცა,
როგორც ამბობენ, გაუგო...
მგონია: კაცმა ბოროტმა
შურს გულის კარი გაუღო,—
შესთხზა პორები, ამხანაგს
ფეხებს ქვეშ მახე დაუგო:
მის შრომა-მოღვაწეობას
ბოროტათ წესი აუგო.

d.

ინტერვიუ

(ბათუმის მუშათა მაგიდასთან)

I

მოქალაქე ეშმაკო!

თანახმათ თქვენი ფიცხელი განკარგულებისა მე გახლდით ბათუმის მუშათა მაგიდის სამართველოში, მაგრამ რადგან გამგე ბ. სერგო ყუფარაძე იქ არ დამიხვთა, თვითონ მაგიდას გავუკეთე ინტერვიუ. დარწმუნებული ვიყავი, გამგე იმდენ ვერაფერს მეტყოდა, რამდენს მაგიდა და უნდა გამოგიტყდეთ, იმედი არ გამიცრუვდა.

მაგიდის მარცხენა მხარეზე ბლოკ-ნოტის ქვეშ. ვნახე წერილი: „ძმაო სერგო, გიგზავნი სიმინდს. დააფქვიე პურში შესარევათ და გაასაღე. დათიკა ხელაძე“. სიტყვა „გაასაღე“ ხაზ გასმული იყო წითელი მელნით, ალბათ გამგის მიერ. ხოლო ბლოკ-ნოტზე ეწერა: „საქმის მწარმოებელს შალიკაშვილს. მისწერე მომარ. სამინისტროს რწმუნებულს გვაცნობოს რამდენათ იყიდა სიმინდი“.

— რაშია საქმე? შეეკითხე მაგიდას.

— დახედე ფანჯარას და მიხვდები...

ფანჯარაზე ეყარა დამპალი სიმინდი.

— ეს დამპალი სიმინდი ალბათ სამას მანეთად აქვს ნაყიდი და კარგ სიმინდათ (1500 მან. ღირს) გამოგვიგზავნა: მუშის კუჭი მაინც მოინელებსო. შეატყობინეთ ეს ამბავი ეშმაკსო—შემეხვეწა მა გიდა.

რასაკვირველია, თხოვნის ასრულებას დავპირდი და შემდეგ სხვა ქაღალდებს გადავავლე თვალი. ერთ ქაღალდზე ეწერა: მომარაგების და შრომის მინისტრს. სამინისტრომ ბათომის მუშათა მაგიდას ქვანახშირი არ დაუთმო არ ქონის გამო. სამინისტროს მოხელე ვინმე მიხეილ კემულარია დეპეშით უთვლის ვაჰარს ყუფარაძეს, გამოგზავნე ფული, 40 ვაგონ ქვანახშირს ჩაგაბარებო. რაშია საქმე?..“

ამ დროს ოთახში თვითონ გამგე შემოვიდა და მაგიდასთან ინტერვიუ შევსწყვიტე.

გაგრძელებას შემდეგ შემოგითვლი. მანამდე კი გთხოვ გამოარკვიო, რაშია საქმე, ან ვინ არის ეს ყოვლის შემძლე კემულარია? დარწმუნებული ვარ მუშათა მაგიდას სამინისტრო ვერ უპასუხებს შეკითხვაზე, რადგან თვითონაც არ იცის რაშია საქმე.

გრ. სლუჩაინი.

სპეკულიანტი

სამშობლო ჩემთვის სჭედავს ბორკილებს,
ჩემთან ბრძოლაში იგი მოვქანცე...
დღეს ჩემზე ყველა ილესავს კბილებს...
მაგრამ არ სცხრება ჩემი სიანცე...

—

მე მივულოცავ ჩემს კეთროვანს სულს
ქანქართა ბოჭვას საბედისწეროს...
ველარ ვთვლი პარკებს, ბონებით ორსულს...
დეკრეტი ვისაც სურს, იმან სწეროს...

—

დრო არის ჩემი ყრუ მბრძანებელი...
და სხვა მბრძანებელს უთხარ უარი...
ვარ სულყოველგან მე თვითმპყრობელი,
ჩემთვის ყოველგან ღიაა კარი.

—

ვარ ულმოელი... მიყვარს ტანჯვაში,
სულთმობრძავისთვის წაჭერა ყელში...
და ვინც (შევატყობ) ავს მომინდომებს
შესდგება, „იმას“ რომ მივცემ ხელში,

—

თავს ვანებივრებ, ვეალერსები...
რაა სიძვარე, ან სიიაფე...
დახურეთ ყველგან კაფე-კლუბები...
ჩემთვის ცხოვრება თვით არის კაფე...

—

ბევრს ენერწყვება პირში მოგება...
ბევრს ეზმანება, შაშხი... კახური...
მაგრამ ეს ყველამ ხომ ვერ იგემა...
პურს წააჭამა მჭლე ნიახური...

—

რა დამაკავებს, რო ავზავთდები...
სადაც მსურს მძაფრად „ნარიმანს“ ვიმღერ.
მე თქვენს დეკრეტებს არ შეუკრთები .,
ვიმღერ „ნარიმანს“, მოგცემთ ჯარიმას!..

ილლაუ სახუნდარი.



მიტო.—ეს მთავრობა სწორეთ გაგიჟდა. იქ მივედი დაკეტილია, აქ მოვედი დაკეტილია. ჯერ ათი საათიც არ არის და უკვე ყველგან კარები გამოხურულია.

საბჭოთა რუსეთის ბლოკადა ანტანტის მიერ.

საბჭოთა რუსეთი. Караулъ! Товарищи, пролетаріи всего міра! Помогите... Вампиры и кровопіицы, душегубы и палачи пролетаріата, капиталисты Европы насъ блокируютъ, душатъ... Помогите!

შექანჯალებულის ლექსები

ტვინში რომ რადაც გამიფრენს,
რქებს ჭკუის ფსკერში ამომკრავს,
ამიყვანს, ამაქანჯალებს,
და ცის კუშტულზე მიმაკრავს;

—

კინწის კვრით ისევ ძირს მისვრის,
შავ მიწას დავენარცხები,
ექიმმა გამომიწერა
წიწილი, უმი კვერცხები,

—

ვერსად ვიშოვნე ვწრც ერთი,
დღეებს ვლევ ბედის კრულვაში...
თავი მავეცი ბრმა ფიქრებს,
შემომეჭამა ულვაში...

—

ცას არ შორდება ლრუბლები,
აღარ სჩანს მზე სხივ-ციმციმა...
ნამუს დაკარგულ ფულებმა
სინდისი დააფეხმძიმა...

—

ზამთარი მკოცნის ხელებზე,
სითფოს სწოვს თითის წვერებსა...
სიძვირე ავტომობილით
მიჰქრის... რა შეაჩერებსა.

—

კომბოსტო წნილად კარგია,
და ისპანახი მხალათა...
სპეკულიანტთა ლაშქარმა
ტფილისში მოიკალათა,

—

ვაი, რა დრონი დაგვიდგენ...
კატა ურემში შაება...
წიწილი მოხვდა ხაფანგში,
დათვი ძუაში გაება...

საქართველოს ბლოკადა საბჭოთა რუსეთის მიერ.



ქართველი მიხო. (თავის მეზობელს) აბა, ამხანაგო! ხომ ხედავ რუსეთი დასრჩობას გვიპირებს: ნავთს არ გვაძლევს, მაზუთს არ გვაძლევს, ბენზინს არ გვაძლევს, პურს არ გვაძლევს. აი სოციალისტებიც ასეთი უნდა! გავანძრიოთ ხელი, სხვისი იმედით ყოფნა არაფერს გვარგებს.

რა გინდა, გეო, არ მოგწონს
ჩვენი ჟამი და დროება?!
გეურქას თურმე არ უყვარს
ოთახში შევიწროება...

—

ტყეში ვნადირობ დათვებზე...
სად ბუდობს, მასწავლე, ბელი!..
შავს ვარსკვლავზე გაჩენილა
ქართველი მასწავლებელი;

—

შია, ცივა და სწყურია...
ან და როდის არ შიოდა...
ნატრობს იმ დროს: — დარს-ავდარში
კალოშით რომ დადიოდა;

—

ქოლგა ხელში, პალტო მხრებზე,
და „ოცდა რვა“ თვის ოცს რიცხვში...
რა იქნება, რომ ქოთანი
ჩაძვრეს ბარემ თავის ცაცხვში...

—

რა იქნება, რომ ქათამმა
ამოაძროს მელას კბილი...
რა იქნება, თოვლის ნაცვლად
წელს მოსთოვოს თეთრი ფქვილი.

—

რა იქნება, რომ კბილიდან
შხამს იძრობდეს შავი გველი...
რა იქნება, ნავთს გვიძლევნიდეს
„ტოვარიშჩი“ მეზობელი.

—

ბაყაყსა კბილი მოვკვეთე—
ვასვი მას ტაფით ტყემალი,
ნეტავ საით მიაბიჯებს
ყირმიზ მუსტაფა ქემალი.

—

ჩარჩი, რაგინდ რა გაკოტრდეს,
ცდილობს დუქანი კვლავ გახსნას,
„ირისკებს“, რა ენაღვლება.
„რისკში“ ეძებს თავის დახსნას.

—

ასე მოქმედებს თალლითი
ყირმიზ ქემალი მუსტაფა.
ვაჰ, თუ ჩალმა თავს მოხადეს...
და დაადგეს ლაფით ტაფა...

—

ფილტვის ანთება მიჩნდება
სიცივისგან ცხვირის ძირში...
სპეკულიანტს მას ვეძახით,
რომ დაგახრჩობს გასაჭირში.

—

ვინ გაუძლებს ამდენ ჰამას,
ამდენ კუჰის სატკივარსა.
ნავთის ნაცვლად ჩემს ბინაზე
ვაყინქლილებ ღამით კვარსა...

—

ვიშ, რა ლამაზად იცეკვა
ამ წიწილმა, ფეხ დამწვარმა...
რა იქნება ტფილისს შეშა
მოაზღვავოს გიჟმა მტკვარმა...

—

ან და ტფილისს გადმოსახლდეს
აჯამეთის ულრანი ტყე...
ქვალონიდან ვაგონებით
შეშა მოდის... ვერ შეიტყე??.

—

ფხვნილი შაქარი გამწარდა...
ხინა გახდა მეტად ტკბილი...
კანადიდან თვალებს შვრება
თოვლის ფერი, თეთრი ფქვილი.

—

ღვდელო, აქამდე ვით სწირე...
კვლავ ისე არ იწირება...
მეფე-სიკვდილს განუზრახავს
კაცთა შტატის შემცირება.

—

დიდმა დიდი ლუკმა სჰამოს...
დასაძრახი არ არს მგონი...
ვინმეს მაინც კი ერგება
ძმავ, ორმაგი რაციონი...

—

მხოლოდ ეს კი გამიკვირდა
ზედ მეტს სჰამდეს იუსტინე...
პროტესტს ვუცხადებ „მაგიდას“
რისხვით მიტომ შეუსტვინე...

—

ვის „მაგიდამ“ რაი მისცეს,
მას დასჯერდეს, იმდენს სჰამდეს..
დამესიზმრა... ვითომ მოვკვდი...
ხელი მკრეს და „ფეჩში“ ჩამდეს...

—

ვიშ, რა ლამაზად დაუსხამს
ჩვენს მუხას მსხვილი ბიეზი,
სტუდენტებს ეარშიყება
ერობის სტიპენდიები.

—

მდელოს ზამთარი წვერს პარსავს,
ტყეს ურცხვად კაბა გახადა...
ნეტავ მანატრა, მანატრა...
მეპურეთ მაინც გამხადა ..

—

ქურდს აბა ვით შეაშინებს,
მზის ჩასვლა და შებინდება...
სპეკულიანტი რომ ვიყო,
მე რისი შემეშინდება.

—

აფრინდი ქორო, აფრინდი...
არაგვი ჩაინადირე...
ქვრივ-ოხერ დედლებს დაესხი...
გაპენტე, გაინაპირე...

—

ვაი, რა ცუდი დრო დადგა...
დღეს ექიდება ბუ ხარსა...
წავალ და ცოლშვილს მოუსხამ
აგუზგუზებულ ბუხარსა.

შექანჯალებული.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა.

ოქტომბრის 24 დაიწყო და იმავ თვის 30 გათავდა სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა.

ჩვენს რედაქციას განზრახვა ჰქონდა უფრო ვრცლათ შეხებოდა გვარდიის ყრილობას და თავისი მკითხველებისათვის დასაბუთებული და დასურათებული ანგარიში მიეწოდებია, მაგრამ აღმოსავლეთ ციმბირში იაპონიის სამზადისმა და უმეტეს კი ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებმა ამ კეთილი განზრახვის სისრულეში მოყვანაზე ხელი შეგვიშალა.

თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებთ, რომ მალე მოვესწრობით მესამე ყრილობას და იმედი გვაქვს იმ დროს რედაქციაც და გვარდიაც უკეთეს პირობებში იქნება.

ღერძი, ანუ ლურსმანი ყრილობისა იყო მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, რომლის შესახებ ჩვენ მომავალში გვექნება ლაპარაკი, რასაკვირველია, თუ რამე მოულოდნელმა გარემოებამ კვლავ ხელი არ შეგვიშალა,

მოხსენება წაიკითხა აგრეთვე მთავარი შტაბის თავმჯდომარემ ვ. ჯუღულმა საერთოდ გვარდიის მოდგაწეობის შესახებ.

ალ. დგებუაძემ გვარდიის ორგანიზაციაზე.

ილ. ქარტიფაძემ სასურსათო საკითხის შესახებ.



ფალადიმერ ჯიბლაძემ სამეურნეო ნაწილის შესახებ.

ნ. კახიანმა საჭურველთა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო ფარნიევმა ავტომობილთა შესახებ. და სხვა და სხვა.

ერიდობ ს თავმჯდომარეობდა ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე ნიკო ედიანი, რომელიც აგრეთვე არჩეულ იქმნა თამადათ ერიდობის დასასრულ გამართულ ნადიმზე.

საგარეო საქმეები.

ყველასაგან პატივცემულმა მთავრობის თავმჯდომარემ გვარდიის ყრილობაზე აშკარათ განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკის შეცვლა ჩვენ ხელთ არ არის, რომ ჩვენ მხოლოდ ალღო უნდა ავუღოთ ყოველივე იმას რაც უჩვენოთ ხდება.

ჩვენც სწორეთ ასეთ გზას ვადგევართ ჩვენს საგარეო პოლიტიკაში. ჩვენი დევიზია ყველასთან მეგობრული კავშირისა და ურთიერთობის დაჭერა. ინგლისი და საფრანგეთი უმჯობესია მოყვრათ გვყავდეს, ვიდრე მტრათ.

ამისთვის არავის არ უნდა გაუკვირდეს, რომ ჩვენმა წარმომადგენელმა უწინარეს ყოვლისა ინახულა **მილიერანი** და **ლოიდ ჯორჯი.**

ძნელი გადმოსაცემია ის სიხარული და კმაყოფილება, რომელიც ჩვენი წარმომადგენლის დარბაზობამ უცხოელთა მართველ წრეებში გამოიწვია.

— ჩვენს საქარხნო ნაწარმოებებს, — განუცხადა ამხანაგმა შალიკომ მილიერანს, — ეჭიროება ფართო ბაზარი. სწორეთ ამ მიზნით მივმართავ მე საფრანგეთს; გაგვიღოს კარები და გაუხსნას გზა, ჩვენს ფაბრიკატებს. მხოლოდ ამგზით შესძლებთ თქვენ ომისაგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას და დანგრეული მეურნეობის აღდგენას.

ინგლისის პრემიერ მინისტრიც ერთობ კმაყოფილი დარჩა, როცა ჩვენმა წარმომადგენელმა განუცხადა:

— მე გადაჭრით შემიძლია მოგახსენოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ჩემი მთავრობა თანახმა არის თქვენი სტერლინგების კურსის გამოსწორებაში ხელი შეგიწყოს. სრული თქვენი ნებაა, გინდა სესხი აიღეთ, გნებავთ რაიმე კონცესიები მოგვეცით.

ლოიდ ჯორჯმა აღარ იცოდა რით გადაეხადა მადლობა ასეთი გულუხვობისა და მეგობრული გრძნობებისათვის.

სოფ. ფარცხანაყანევი

ძველი წმინდა გიორგის
მღვდელი მამა კაშია...
ორჯერ განაშავები
კვლავ დარბის ქუჩაშია.
თუმცა ეხმარებოდენ
შავი ელემენტები,
მაგრამ ვერ გაუთეთრეს
მას საქმთ კენჭები.
დეკანოზი გიორგიც
მიიძრ-მოიძროდია,
და მისი დახმარება
სახუმარო როდია!
დეკანოზი ფოფხაძე,
თედორაძე ვეტია
მღვდელი გიორგისათვის
ნამდვილ ბურჯი, სვეტია.
ვარდენი და სილოვან
(ცნობილი ბელადები)
კვატატი და ალმასხან
ვეტოს მონამზადები,
სულ მას ეხმარებოდენ
ზემოთქმული პირები...
(ესენია ჩვენს თემში
ნიკოლოზის გმირები!)
მაინც ვერ შეუსრულეს
მოძღვარს დანაპირები...
დამარცხდენ და შეგვირცხვენ
ბედის განაწირები.

გარეშე.



პრემიერ მინისტრებთან დარბაზობის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაემართა პრეზიდენტ დუმანელის სანახავათ. სწორეთ იმ ხანებში მოხდა საზარელი ამბავი, პრეზიდენტის მატარებლიდან გადმოვარდნა.— ჩვენი ხალხი,— მოახსენა პრეზიდენტს ელჩმა,— ამ მხრივ ძლიერ დახელოვნებულია. ის ვაგონის სახურავებზე ზის, მაგრამ ძალით თუ არ ჩამოაგდე თავისით არასოდეს არ ჩამოვარდება.

პრეზიდენტმა დიდის მოკრძალებით მოიკითხა ბ-ნი ეშმაკი და თაგუნა; უსურვა მათ კეთილი ცხოვრება და სთხოვა ეცნობებია ჩვენთვის, რომ უკეთუ მატარებლით სადმე მგზავრობა შეგვხვდებოდა, ფანჯარასთან არ გაჩერებულიყავით.

ომი ვნახე

(ქ. ოზურგეთისათვის)

„თანახმათ ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, გამგეობა განაგრძნობს ღორებთან ბრძოლას იარაღის საშვალებით და გთხოვთ განკარგულებას— თქვენმა მილიციამ ხელი არ შეგვიშალოს ამ საქმეში“.

(იხ. ოზურგეთის ქალ. გამგეობის მიმართვა სამაზრო ერობისადმი 29 მარტი № 384, საქმე № 3).

ომი ვნახე, ღორთან ომი... ომი მკაცრი, ხელჩართული;—
სამნი ძმანი „უპრაველნი“ ბრძოლათ იყვნენ გამოსული...
ფარ-ხმალით და თოფ-ზარბაზნით იყო ყველა მოკაზმული,—
და თან ახლდათ მეომარნი რიცხვით, ვგონებ, ასი სული.

—

მწყობრათ, ორათ განაწილდა რაზმი იგი, რაზმი მთელი;
ერთი მწყობრი სიმონს ერგო, ერთს გიორგიმ მისცა ხელი;
და სარდლები მყის წავიდნენ, გამონახეს თავ-საცეელი,
პოზიცია გაამაგრეს,— ბაღი იყო ბრძოლის ველი...

—

მთელ ფრონტს-კი მთავარსარდლობდა ქალაქისა ჩვენის თავი;
ის მედგარი ვინმე ყრმაა, ლონე ერჩის, უპრის მკლავი;—
ბრძოლაში გამოცდილია, ნამარი, თავნაკლავი,—
ქობულეთის აღების დროს იყო ტურფა სანახავი...



დასასრულ წარმომადგენელი „ეშმაკის მათრახისა“ გაემართა საფრანგეთის ჯარის დასათვალიერებლად. მას მოეწონა მხოლოდ ლაშქრის ხმა და სხვა ფერადობა, არც საჭურველის, არც სამოსელის ვარგებულობა. შალიკომ აღუთქვა სამხედრო მინისტრს ეოველგვარი დახმარება, როგორც ამუნიციით, აგრეთვე სპეციალისტების გაგზავნით.

(შემდეგი იქნება).

ჰა, გამოჩნდა წინა ხაზზე მოლრუტუნე სქელი მტერი;
დაჰხეთ მებრძოლთ გულადობას!—არ შესცვლია არც ერთს ფერი...
სარდალმა ფრონტს გადასძახა—მოვიდაო თქვენზე ჯერი,
გაიმარჯვებთ—აგეგებათ ე მანდ ძეგლი შესაფერი ..

—

ვფიქრობ – აი შე მსუნაგო, ხომ მოგიწყვეს ახლა სხაპი,
შეუმჩნეველათ გდარაჯობენ ვაჟკაცები მარჯვე, ცქაფი...
ამ დროს უცბათ იგრიალა და გავარდა ერთხმად „ზალპი“,
მაგრამ ჭტერმა აიცილა,—განზე გახტა, უქნა წკაპი...

—

რა ეს იხილა სარდალმა, გაბრაზდა, წამოიწია,
და თავისთან სათათბიროთ თანაშემწე მოიწვია;
ბრძანა: მაცათ, მარტო მე ვსცდი, იარაღიც მომიწყვია...
დაუმიზნა, ესროლა და ღორს მოარტყა შუბლში ტყვია!

კენჭაძე.

„დედა-ენის“ შესწორებელ კომისიის თავმჯდომარეს

ბ. თედორე გოგებაშვილს

(ღია წერილი)

ბ. თედორე! როგორც დანამდვილებით გავიგე, თქვენ, წერა-კითხვის საზოგადოების დავალებით, შეგისწორებიათ განსვენებული **იაკობ კიკვაძის** „დედა-ენა“.

ნაცვლად იმ სამისა თუ ხუთის თვისა (კარგათ აღარ მახსოვს), რომელიც ვადათ დაუდვიათ თქვენთვის, ამ შრომაზე თქვენ დაგიხარჯავსთ სრული 9 თვე და კარგათაც მოქცეულხართ, რადგან საჭიროა, ყოველი ნაყოფი გამოშუშდეს წიაღში და უდღეურათ არ იშვას.

ხოლო ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ 9 თვეზე ადრე ნაშობი—უდღეური გამოდის.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, „დედა-ენა“ თქვენ „ცხრა თვეს მუცლით გიტარებიათ“.

მუცლით გიტარებიათ, რადგან ყოველსავე თვეში თქვენ თურმე გეძლეოდათ განსაზღვრული სასყიდელი შრომისათვის.

„ფეხ მძიმეობისაგან“ რომ განთავისუფლებულხართ, აგიღიათ და დაგიწუნებიათ ის გასამრჯელო რომელიც თქვენ პირობისამებრ გრგებიათ და გითქვამთ:

— კეთილ ინებეთ და ამ შრომისათვის ჩვენს სასარგებლოდ გაიღეთ „სამართლიანი გასამრჯელო“ წიგნის ნომინალ ფასის 10%, ე. ი. 2 მილიონი მანეთიო.

ამისდაგვარად **ავტორის სრული უფლება** მოგითხოვიათ.

ერთი სიტყვით, გამოდის, რომ თქვენ ყოფილხართ გოგებაშვილი, ხოლო გოგებაშვილი ალბათ, კიკვაძე იყო.

ბ. თედორე გოგებაშვილო!

თქვენ ამასაც არ დაკმაყოფილებულხართ და რაკი „მადანი“ მიგიგნიათ, „კონცესიის“ უფლებაც მოგითხოვიათ და გადაგიწყვეტიათ საფლავის კარამდე „მუცლით ატაროთ“ საბრალო „დედა-ენა“.

დღეისა იერ საისტორიო თქვენს მოხსენებაში თქვენ წამოგიყენებიათ წ. კ. საზ-ის მთავარ გამგეობისათვის შემდეგი 7 აუცილებელი პირობა:

„1) კომისიას (იგულისხმება შემსწორებელი კომისია, რომლის თავჯდომარე, თქვენ ბრძანდებით. თაგ.) სასურველათ მიაჩნია, წიგნის გავრცელების ინტერესებისათვის, სახელწოდება „დედა-ენა“ დარჩეს უცვლელად.

2) იაკობ გოგებაშვილის სახელის ნაცვლად წიგნს დაეწეროს შემდგენელთა (ე. ი. თქვენი, არა? თ.) გვარები (ეს მუხლი დაბოლოს თქვენ მელნით წაგიჩხრეკიათ, მაგრამ „რაც კალამს დაუწერია, იმას ცულიც ვერ ამოსჭრის“ თ.).

3) კომისიის წევრებს უნდა მიეცეს ყოველ [illegible]ზე ნომინალი ფასის არა ნაკლებ 20%-სა იმ წესით როგორსაც წარმოადგენენ კომისიის წევრები .(ე. ი. უკეთუ ეხლა სამართლიან გასამჯელოთ“ 10% თხოულობთ, შემდეგში 20% უნდა მოგეცესთ ხოლმე რაღა ლაპარაკია საჭირო: თუ 10% სამართლიანი გასამჯელოა, 20 ხომ ორჯერ უფრო სამართლიანი იქნება.).

4) კომისია კისრულობს, მუდმივ დარაჯათ ედგას ამ სახელმძღვანელოს (თუ ჰონორარს! თაგ.) და სათანადო ცვლილებები შეიტანოს წიგნში ცხოვრებისა და სკოლის მოთხოვნილების თანახმათ (რა ღირსების იქნება ეს **სათანადო ცვლილებები,** ამას თქვენ მიერ შესწორებული „დედა-ენა“ დაგვანახვებს. თ.).

5) საზოგადოებას არ ექნება უფლება, სანამ კომისიის ერთი წევრი მაინც იქნება ცოცხალი, ეს წიგნები გადასცეს შესასწორებლათ სხვა კომისიას, ან გარეშე პირთ (ღმერთო! დიდ ხანს გვიცოცხლე ჩვენი თედორე კიკ... კოგებაშვილი! თ.).

6) უკეთუ ასეთი შეთანხმება მოხდება მთავარ გამგეობასა და კომისიის შორის, იმ შემთხვევაში უნდა დადებულ იქმნას კანონიერი ხელშეკრულება (რასაკვირველია! უფრო გულ-დამშვიდებული ვიქნებით! თ.).

7) იმ შემთხვევაში კი, თუ აღნიშნული შეთანხმება არ მოხდება, კომისია იტოვებს უფლებას „დედა-ენის“ ორივე ნაწილში მის მიერ შეტანილი ახალი მასალა გამოიყენოს თავისი სურვილებისა და საჭიროების მიხედვით“.

ნება მიბოძეთ, ბატონო თედორე გოგებაშვილო, თქვენი მეშვიდე მუხლის თქმისა არ იყოს, მეც „დავიტოვო უფლება“ ჩემის „სურვილისა და საჭიროების მიხედვით გამოვიყენო“ „ეშმ. მათრ.“-ს შემდეგ №-ში თქვენ მიერ მოცემული „ახალი მასალა“, თორემ თქვენმა მოხსენებამ ისეთ გუნებაზე დამაყენა, რომ ამ წუთში სათანადო ტონი და საფანელი ვერ მომინახავს და მეტად დინჯი ლაპარაკი მიხდება თქვენთან.

დავშთები თქვენი უანგრობისა და კდემამოსილების თაყვანის-მცემელი **თაგუნა.**

აგიტაცია.

ბოლშევიკი. შენ, ამხანაგო ქართველო, ტყვე ხარ შენი კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზიული მენშევიკური მთავრობის. აბა ერთი დაუფიქრდი, აბა მიმოიხედე შენს ირგვლივ, აბა დახედე შენს ყოფას, დაფიქრდი და შემდეგ მითხარი დროა თუ არა გონს მოხვიდე, თავი დაასწრო ამ ჯოჯოხეთს და შენც ჩვენებური კომუნისტური სამოთხე დაამყარო აქ, საქართველოში.

მენშევიკი. ხომ გაგიგონია, ჩემო კარგო: „ყველას თავისი ბახალა მოსწონსო". მოდი ერთი დამანებე თავი, მე ჩემს ჯოჯოხეთში ვიყო და შენ შენი სამოთხე ღმერთმა მოგახმაროს.

საქართველოს სახაზინო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია